

სიკვდილი გმირისა

ცის ქუხილივით გაისმა
სოფლად სიკვდილი გმირისა,
რომ ვერ უშველა ექიმმა,
ზის და ჩუმადა ტირისა.
ვერც მკითხავებმა უშველეს,
ვედრებამ იმათ პირისა.
მიზეზს რად ეძებთ სხვადასხვას დ
დღე-წერა იყო იმისა.
"აფსუს, რა ჯონგა წაიქცა!" -
ყველა ამასა ჩივისა.
ცრემლი აწვიმა მთაზედა
ტურფამ ცისკარმა დილისა...
კუბოს ფიცრებიც ითლება
მისრიათ ქალის შვილისა.
დრო ჩამოუგდო მტრის ტყვიამ
გაუღვიძარი ძილისა.
ურჯულოს გაუხარდება, -
ლამქარში ვედარ ივლისა.

თავს რომ დაატყო დვკვდებო.
დალაფთ ანიშნა ხელითა.
რომ გაეყვანათ კარზედა
აბჯარ-აბგარით მთელითა.
სულის დაღევა გარეთა
წესია ძველის ძველითა.
ჯერ თავად წამოიწია,
იდაყვებს იდგამს სვეტადა;
სიკვდილსაც არა ჰნებდება;
კერპობა ჰქონდა წესადა.
უნდა ხმლითა სცას მტარვალსა,
თუკი მოუვა ხელადა;
უჩინარია, ვის ებრძვის?
სული ამოჯდა ყელადა.
თავის მომრევი ვაჟკაცსა
არვინ ეგონა ქვეყნადა:
უკვირს, რომ ძალმა უჩინმა
დაჯაბნა მეტის-მეტადა;
მტერი სცემს, პასუხს ვერ აძლევს,
მონას ჯავრს არა სჰამს მხოლოდ მით,
არ გააგონებს კვნესასა.

მამა ამკაცრებს როსტია,
გული წაჰსვლია დედასა.
ეურჩა შვილი მოხუცსა,
მამას არ აძლევს ნებასა:
ვერ იტანს ვაჟკაცის ფიქრი
გულზე ხელების კრეფასა.
სიკვდილო, კარგის მოკვლისათვის
ნეტა ვინ გეტყვის ქებასა?!
ბერიძის დისა ტირილი
სანთლად დაენტო ზეცასა.
აელო მთელი მთა-ბარი
ქალთამზის მოთქმა-კვნესასა.
დაიჭრა თმები გიშრისა,
ათეულის ჰგავ კრებასა.
ცოლის გულსაც ჰხვდა ლახვარი,
თუმც ტირილს ვერა ჰხედავსა;
ჩუმად იტირებს ბეჩავი,
როცა არავინ ჰხედავსა.
ხალხთ ჩვეულება დიდია:
დევსა ჰგავ, რკინის მკვნეტავსა!..
დერეფანში წევს ბერიძე,
თვალდახუჭული, მკვდარია.

მშობელი ქვეყნის დარაჯი
მოკვდა და აღარ არია.
პირნათლად მივა სულეთსა,
სადც იმის წინაპარნია,
რომ არ უმტყუნა, ასრულა
გმირმა გმირული ვალია.
მკერდზე დააწყვეს იმისი
თოფი, ფარი და ხმალია.
თავით დაუდევს ხანჯარი,
ბმალშეუვალი რვალია.
ფეხითთ უდგია ლურჯაი,
ორთ უპყრავ ლაგმის ტარია;
ტოტს უცემს, ელის პატრონსა,
დაუგვიანდა მგზავრია.
დედ-მამას ანდერძს უწირავს:
“შანშეს მიეცით ხმალია,
სხვის ხელში ნუმც მეგულემა,
ღირსი სხვა არვინ არია.
ბანჯარი -ფუნჩაიშვილსა, -
ის კარგი მეომარია.
ფარი და ჯაჭვი დლეგასა,
ჯერ ომში შეუვალაია.
ვინაც პირველად მიუხდეს
ბატრიონს თარაქამასა,
ვინაც კი ამოაშხამებს
თათარს ცოდვების ჭამასა,
ჩემ ცხენი იმასა ჰყვანდეს,
ხელ იმან უსვას გავასა,
ალაღი არი იმაზე,
ნურც თქვენ დაუწყებთ დავასა.
თოფი დელიზბარს, ჭრილობით,
მე მგონავ, იყოს ავადა.ვინც ჩემს იარაღს იხმარებს
ერთგულად, დაუმცდარადა,
ცოცხალიც ვამბობმ, მკვდარიცა:
ღმერთმა ახმაროს ალლადა.
ყველას შრომამც იქნება
მშობელი ქვეყნის წამლადა”.

ეს სთქვა და გაჰქრა, როგორაც
შანდალში ნამწვი სანთლისა;
ვენაცვლე იმის ბიჭობას,
ჭირიმე იმის გამდლისა!..
საგძალი მისდევს შავეთსა
აქ მოხვეჭილის მაღლისა.
შაჭირვებულა სოფელი,
ბებნა სჭირდება ბადლისა:
ვაი, რომ ცუდი ბევრია,
პოვნა მხელია კარგისა!

1899 წ.